მედია პოლარიზაცია და დემოკრატიული მოწყვლადობა საქართველოში: ციფრული კომუნიკაციის როლი პოლიტიკური კრიზისების დროს

დიანა ლიპარტელიანი

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი მასობრივ კომუნიკაციაში
აფილირებული ასისტენტ-პროფესორი,
საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი-სეუ
d.liparteliani@seu.edu.ge
https://doi.org/10.61950/giu.4.2026.12130

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია, როგორ აშუქებდა ქართული ონლაინმედია 2024 წლის 3 აპრილიდან 28 მაისამდე პერიოდში „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტის გარშემო განვითარებულ პოლიტიკურ კრიზისს. კვლევის მთავარი ამოცანაა აჩვენოს, როგორ ვლინდება მედია პოლარიზაცია ციფრულ სივრცეში და რა ფორმით უკავშირდება იგი დემოკრატიული მოწყვლადობის გაძლიერებას.

კვლევა ეფუძნება ოთხი ონლაინმედიის - ImediNews.ge, TVPirveli.ge, 1TV.ge და Netgazeti.ge - 48 მედიატექსტის ანალიზს. ნაშრომში გამოყენებულია სტრუქტურირებული თვისებრივი კონტენტანალიზი და დისკურსის ანალიზი. ამ მიდგომამ შესაძლებელი გახადა, გამოჩენილიყო არა მხოლოდ ის, რას აშუქებდნენ მედიასაშუალებები, არამედ ისიც, როგორ ასახელებდნენ მოვლენებს, ვის ანიჭებდნენ ლეგიტიმაციას, როგორ იყენებდნენ ემოციურ ენას და როგორ ქმნიდნენ „ჩვენ“ და „ისინი“ ტიპის დაყოფას.

კვლევამ აჩვენა, რომ ერთი და იგივე პოლიტიკური პროცესი სხვადასხვა პლატფორმაზე განსხვავებული ჩარჩოებით წარმოჩნდა. ერთ შემთხვევაში კანონპროექტი სუვერენიტეტისა და გამჭვირვალობის დაცვის მექანიზმად იყო წარმოდგენილი, მეორე შემთხვევაში კი - დემოკრატიული უკუსვლისა და ევროპული კურსისთვის საფრთხის ნიშნად. შედეგად, აუდიტორია იღებდა არა მხოლოდ განსხვავებულ შეფასებებს, არამედ განსხვავებულ მედიარეალობებს. ნაშრომის დასკვნით, პოლიტიკური კრიზისების დროს მედია პოლარიზაცია ამცირებს საერთო საინფორმაციო სივრცეს, აძლიერებს ბანაკურ აღქმებს და ართულებს ფაქტებზე დაფუძნებულ დემოკრატიულ დისკუსიას.

საკვანძო სიტყვები: მედია პოლარიზაცია; დემოკრატიული მოწყვლადობა; ციფრული კომუნიკაცია; პოლიტიკური კრიზისი; ქართული ონლაინმედია.

შესავალი

თანამედროვე პოლიტიკურ პროცესებში ციფრულ მედიას აღარ აქვს მხოლოდ ინფორმაციის გავრცელების ფუნქცია. იგი იქცა სივრცედ, სადაც პოლიტიკურ აქტორებს ენიჭებათ ან ერთმევათ ლეგიტიმაცია და ყალიბდება საზოგადოებრივი დღის წესრიგი. ამის პარალელურად, საზოგადოებრივი აზრი ფორმირდება არა მხოლოდ ფაქტებზე დაყრდნობით, არამედ

ინფორმაციის ინტერპრეტაციისა და მანიპულაციური წარმოჩენის საფუძველზეც. ციფრული კომუნიკაციის პირობებში შესაძლებელია, ერთსა და იმავე მოვლენას მიენიჭოს განსხვავებული პოლიტიკური მნიშვნელობა და ემოციური ტონი. მედიის ეს ფუნქცია კარგად აიხსნება დღის წესრიგის ფორმირების თეორიით, რომლის მიხედვითაც მედია მხოლოდ მოვლენების ამსახველი კი არ არის, არამედ განსაზღვრავს, რომელი საკითხები მოხვდეს საზოგადოებრივი ყურადღების ცენტრში და რა მნიშვნელობით წარდგეს ისინი აუდიტორიის წინაშე.[1] ამავე ლოგიკას ავითარებს ჩარჩოირების თეორიაც, რომლის მიხედვითაც მედიატექსტი რეალობის გარკვეულ ასპექტებს გამოკვეთს და აუდიტორიას მოვლენის კონკრეტულ ინტერპრეტაციას სთავაზობს.[2] სწორედ ამიტომ, პოლიტიკური კრიზისების დროს მნიშვნელოვანია ციფრული მედიისა და კომუნიკაციის როლის გაანალიზება: მედია არა მხოლოდ ავრცელებს ინფორმაციას, არამედ ქმნის იმ ჩარჩოებსაც, რომელთა მეშვეობითაც საზოგადოება ამა თუ იმ მოვლენას აღიქვამს.

მედია პოლარიზაცია ახალბედა დემოკრატიების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა. კლასიკური გაგებით, ის შეიძლება ნიშნავდეს განსხვავებული პოლიტიკური პოზიციების თანაარსებობას მედიასივრცეში, თუმცა ციფრული მედიის პირობებში ეს განმარტება არასაკმარისი ხდება. ციფრულ ეპოქაში პოლარიზაცია ვლინდება როგორც კომუნიკაციური პროცესი, როდესაც ერთი და იგივე პოლიტიკური მოვლენა სხვადასხვა მედიაპლატფორმაზე ხშირად რადიკალურად განსხვავებული ჩარჩოებით, ემოციური ტონითა და ლეგიტიმაციის განსხვავებული ლოგიკით არის წარმოდგენილი. ასეთ პირობებში საზოგადოება მხოლოდ ინფორმაციას კი არ იღებს, არამედ ეცნობა განსხვავებულ „მედია რეალობებს“, რაც ასუსტებს საერთო საინფორმაციო სივრცეს, რომელზეც დემოკრატიული დისკუსია უნდა იყოს დაფუძნებული. მედია პოლარიზაციის სტრუქტურული საფუძველი ხშირად უკავშირდება პოლიტიკურ პარალელიზმს - მდგომარეობას, როდესაც მედიასისტემა მჭიდროდ არის დაკავშირებული პოლიტიკურ აქტორებთან, იდეოლოგიურ ბლოკებთან და საზოგადოებრივ დაყოფებთან.[3] თუმცა ციფრულ გარემოში ეს პროცესი მხოლოდ სტრუქტურულ კავშირს არ გულისხმობს; იგი ვლინდება მედიატექსტებში, სათაურებში, წყაროთა შერჩევასა და შეფასებით ენაშიც.

ეს პრობლემა განსაკუთრებით თვალსაჩინოა მცირე სახელმწიფოებში, სადაც მედიაგარემოს ხშირად ახასიათებს შეზღუდული ბაზარი, მცირე აუდიტორია, რესურსების სიმწირე და გარე გავლენების მიმართ მაღალი მგრძნობელობა.[4] მცირე ევროპული ქვეყნების მედიაზე ჩატარებული კვლევებიც აჩვენებს, რომ ასეთ პირობებში ჟურნალისტური ავტონომია და მედიის მდგრადობა მჭიდროდ არის დაკავშირებული დემოკრატიული საჯარო სივრცის ხარისხთან.[5]

ამ თვალსაზრისით, საქართველოს შემთხვევა განსაკუთრებით საინტერესოა. ქართულ მედიასივრცეს წლების განმავლობაში ახასიათებს მაღალი პოლიტიკური დაძაბულობა,

[1] McCombs, Maxwell E., and Donald L. Shaw. 1972. "*The Agenda-Setting Function of Mass Media. Public Opinion Quarterly* „36, no. 2: 176–187
[2] Scheufele, Dietram A. 1999. *"Framing as a Theory of Media Effects." Journal of Communication* 49, no. 1: 103–122
[3] Hallin, Daniel C., and Paolo Mancini. 2004. *Comparing Media Systems: Three Models of Media and Politics*. Cambridge: Cambridge University Press
[4] Puppis, Manuel. 2009. "*Media Regulation in Small States." International Communication Gazette* 71, no. 1-2: 7-17
[5] Kõuts-Klemm, Ragne, Tobias Eberwein, Zrinjka Peruško, Dina Vozab, Anda Rožukalne, Ilva Skulte, and Alnis Stakle. 2024. "Media and Journalism Research in Small European Countries." *Media and Communication* 12: 7205

მკვეთრად განსხვავებული სარედაქციო ჩარჩოები და პერსონალიზებული პოლიტიკური კომუნიკაცია. სწორედ ამიტომ, პოლიტიკური კრიზისების დროს მედიატექსტების ანალიზი გვაძლევს შესაძლებლობას, უკეთ დავინახოთ, რა როლს ასრულებს ციფრული კომუნიკაცია საზოგადოების დაყოფის გაღრმავებაში ან, პირიქით, საერთო დისკუსიის სივრცის შენარჩუნებაში.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია გააანალიზოს, როგორ ვლინდება მედია პოლარიზაცია ქართულ ციფრულ მედიაში პოლიტიკური კრიზისების პერიოდში და როგორ უკავშირდება იგი დემოკრატიული მოწყვლადობის გაძლიერებას. კვლევა ეყრდნობა დაშვებას, რომ პოლარიზებული მედიაკომუნიკაცია მხოლოდ სარედაქციო განსხვავებულობად არ უნდა განვიხილოთ. როდესაც ონლაინმედია სისტემატურად იყენებს ემოციურად დატვირთულ სათაურებს, „ჩვენ“ და „ისინი“ ტიპის დაყოფას, ასევე ფაქტისა და შეფასების შერწყმას, იქმნება ისეთი კომუნიკაციური გარემო, რომელიც ამცირებს არგუმენტირებული დისკუსიის სივრცეს და ზრდის საზოგადოებრივი დაპირისპირების სიმძაფრეს. დისკურსის ანალიზის პერსპექტივიდან, პოლიტიკური პოლარიზაცია ხშირად სწორედ ამგვარი დაყოფით იწარმოება: საკუთარი ჯგუფი ლეგიტიმურ და მორალურად გამართლებულ აქტორად წარმოჩნდება, ხოლო მოწინააღმდეგე - საფრთხედ ან დესტრუქციულ ძალად.[6]

ვოდაკის მიხედვით, პოლიტიკურ დისკურსში შიშის გაძლიერება, საფრთხის შექმნა და მოწინააღმდეგის სტიგმატიზაცია ხშირად გამოიყენება საზოგადოებრივი მობილიზაციისთვის და პოლიტიკური დაპირისპირების გასამწვავებლად.[7] [8]

საქართველოს მედიაგარემო არაერთ კვლევაში აღწერილია როგორც პლურალისტური, თუმცა მკვეთრად პოლარიზებული სივრცე, სადაც პოლიტიკური დაპირისპირება გავლენას ახდენს სარედაქციო დამოუკიდებლობაზე, ჟურნალისტების უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივ ნდობაზე.[9] საქართველოს პოლიტიკურ გარემოში პოლარიზაციის სიღრმეზე მიუთითებენ გეგეშიძე და დე ვაალიც, რომლებიც ქვეყანას „პოლარიზაციის მძევლად“ აღწერენ.[10]

ქართული პოლიტიკური და მედიადისკურსისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროპეიზაციის თემაც. ის ხშირად მხოლოდ საგარეო პოლიტიკური კურსის აღმნიშვნელი არ არის და ლეგიტიმაციისა თუ დელეგიტიმაციის სიმბოლურ რესურსადაც გამოიყენება[11]. სწორედ

---

[6] Van Dijk, Teun A. 2013. *"Ideology and Discourse."* In *The Oxford Handbook of Political Ideologies*, edited by Michael Freeden and Marc Stears, 175–196. Oxford: Oxford University Press.

[7] Wodak, Ruth. 2011. *"Politics as Usual: Investigating Political Discourse in Action."* In *The Routledge Handbook of Discourse Analysis*, edited by James Paul Gee and Michael Handford, 525–539. London: Routledge.

[8] Wodak, Ruth. 2021. *The Politics of Fear: The Shameless Normalization of Far-Right Discourse*. 2nd ed. Los Angeles: Sage.

[9] გერსამია, მარიამ. 2021. *„მედიაგარემო 2021 წლის არჩევნებამდე და მის შემდეგ: მედია პოლარიზაციის საფრთხეები და გამოწვევები საქართველოში“*. 1: 6–14.

[10] Gegeshidze, Archil, and Thomas de Waal. 2021. *Divided Georgia: A Hostage to Polarization*. Washington, DC: Carnegie Endowment for International Peace.

[11] წულაძე, ლია, ფლორა ესებუა, ირინა კახიძე, ანა კვინტრაძე, ირინა ოსეფაშვილი და მარიამ ამაშუკელი. 2016. *ევროპეიზაციის შესრულება: პოლიტიკური და პოპულარული დისკურსები ევროპეიზაციის შესახებ საქართველოში*. თბილისი: ნეკერი.

ამიტომ, პოლიტიკური კრიზისების დროს ევროპული არჩევანი, სუვერენიტეტი და გარე გავლენის საკითხი მედიაში ხშირად ურთიერთდაპირისპირებულ ჩარჩოებად ყალიბდება.

კვლევის ძირითადი კითხვაა: როგორ ქმნიან ქართული ონლაინმედიაპლატფორმები პოლიტიკური კრიზისის დროს განსხვავებულ ინტერპრეტაციულ ჩარჩოებს და როგორ უკავშირდება ეს პროცესი დემოკრატიული მოწყვლადობის გაძლიერებას?

კვლევა არ ამტკიცებს პირდაპირ მიზეზშედეგობრივ კავშირს მედია პოლარიზაციასა და დემოკრატიულ მოწყვლადობას შორის. ნაშრომის მიზანია იმ კომუნიკაციური მექანიზმების გამოვლენა, რომელთა მეშვეობითაც ციფრულ მედიაში ჩარჩოირებული გაშუქება აღვივებს უნდობლობას, აძლიერებს ბანაკურ დაყოფას და აზიანებს დემოკრატიული დისკუსიის სივრცეს.

აღნიშნული კვლევის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი აჩვენებს, როგორ გარდაიქმნება პოლიტიკური კრიზისი ციფრულ მედიაში ერთმანეთთან დაპირისპირებულ ნარატივებად, როგორ იშლება ასეთ დროს ზღვარი ინფორმაციასა და ინტერპრეტაციას შორის და როგორ შეიძლება ერთი და იგივე პოლიტიკური პროცესი წარმოდგენილი იყოს ერთმანეთისგან განსხვავებულ, ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავ რეალობებად.

ძირითადი ნაწილი

კვლევის მეთოდოლოგია

წარმოდგენილი კვლევა ეფუძნება თვისებრივ, შედარებით და მედიაანალიტიკურ მიდგომებს. კვლევის მიზნიდან გამომდინარე, აქცენტი გაკეთებულია არა მედიატექსტების რაოდენობრივ დათვლაზე, არამედ იმ დისკურსული და ინტერპრეტაციული მექანიზმების გამოვლენაზე, რომელთა მეშვეობითაც პოლიტიკური კრიზისის დროს ერთი და იგივე მოვლენა სხვადასხვა მედიაპლატფორმაზე განსხვავებული ჩარჩოებითა და ემოციური ტონით წარმოჩნდება.

ამ მიდგომამ შესაძლებელი გახადა დაგვენახა, როგორ იქმნება ერთი პოლიტიკური პროცესის გარშემო განსხვავებული მედიარეალობები და როგორ მოქმედებს ეს განსხვავება საზოგადოებრივი აღქმის ფორმირებაზე.

კვლევის ემპირიულ კონტექსტს წარმოადგენს 2024 წლის აპრილ-მაისში „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტის ხელახალ ინიცირებასთან დაკავშირებული პოლიტიკური პროცესი. აღნიშნულ პერიოდში კანონპროექტის გარშემო განვითარდა საპარლამენტო განხილვები, მწვავე შიდა პოლიტიკური დაპირისპირება, საპროტესტო აქციები, საერთაშორისო გამოხმაურებები, ვენეციის კომისიის კრიტიკული დასკვნა და პრეზიდენტის ვეტოს დაძლევა. ამ მოვლენებმა ერთდროულად რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი გამოკვეთა: სახელმწიფოს სუვერენიტეტის დაცვის არგუმენტი, ევროპული ინტეგრაციის შესაძლო შეფერხების საფრთხე, დემოკრატიული უკუსვლის რისკი, გამჭვირვალობის მოთხოვნა, სამოქალაქო დაპირისპირების გაღრმავება, სახელმწიფო სტაბილურობის საკითხი, შიდა პოლიტიკური კონფლიქტი და გარე გავლენის თემა.

შესაბამისად, ეს პერიოდი კვლევისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: მედია პოლარიზაცია აქ გამოჩნდა არა მხოლოდ პოლიტიკური პოზიციების განსხვავებაში, არამედ იმაშიც, როგორ

იყენებდნენ მედიასაშუალებები ენას, ჩარჩოებს, ემოციურ ტონს და როგორ ანიჭებდნენ ან ართმევდნენ ლეგიტიმაციას სხვადასხვა პოლიტიკურ აქტორს. სწორედ ამან შექმნა შესაძლებლობა, გაანალიზებულიყო, როგორ გარდაქმნის ქართული ონლაინმედია ერთსა და იმავე პოლიტიკურ პროცესს განსხვავებულ მედიარეალობებად.

ამ საკითხის შესასწავლად კვლევა ფოკუსირებულია ოთხ ქართულ ონლაინმედიაზე: *ImediNews.ge*, *TVPirveli.ge*, *1TV.ge* და *Netgazeti.ge*. ანალიზი მოიცავს 2024 წლის 3 აპრილიდან 28 მაისამდე პერიოდში გამოქვეყნებულ პოლიტიკურ მედიატექსტებს.

შედარებითი ანალიზის გასამყარებლად აღნიშნული პერიოდი დაყოფილია ექვს ანალიტიკურ ფაზად:

- კანონპროექტის ხელახალი ინიცირება - 3–5 აპრილი;
- პირველი მოსმენა - 16–17 აპრილი;
- საპროტესტო მობილიზაციის ინტენსიური ფაზა - 30 აპრილი–1 მაისი;
- მესამე მოსმენა - 13–14 მაისი;
- ვენეციის კომისიის შეფასება - 21 მაისი;
- პრეზიდენტის ვეტოს დაძლევა - 27–28 მაისი.

მოვლენების ამგვარ ფაზებად დაყოფამ მოგვცა საშუალება, სხვადასხვა მედიაპლატფორმის ტექსტები შეგვედარებინა არა შემთხვევითად, არამედ ერთსა და იმავე პოლიტიკურ მომენტებთან მიმართებაში.

თითოეული ფაზიდან შევარჩიეთ ორი ტექსტი თითოეული მედიასაშუალებიდან. საბოლოო ჯამში, კვლევის საბოლოო კორპუსი შეადგინა 48 ონლაინ მედია ტექსტმა.

შერჩევის ძირითადი კრიტერიუმები ასე ჩამოვაყალიბეთ:

1) ტექსტის პირდაპირი კავშირი საკვლევ პოლიტიკურ მოვლენასთან;
2) ინტერპრეტაციული სიმკვრივე;
3) კონკრეტული ფაზის რეპრეზენტაციული მნიშვნელობა;
4) კვლევის საკითხად დასმულ პრობლემასთან ანალიტიკური შესაბამისობა.

აღსანიშნავია, რომ კვლევის მიზანად არ იყო დასახული მთელი მედიაპროცესის რაოდენობრივი მაჩვენებლით წარმოდგენა. კვლევის ამოცანაა იმ ტექსტების სიღრმისეული ანალიზი, რომელთა შინაარსშიც გამოკვეთილია პოლარიზებული მედია ჩარჩოები, დისკურსული დაპირისპირება და ორგანიზებული პოლიტიკური დაყოფა.

მეთოდოლოგიურად კვლევაში მოცემულია სტრუქტურირებულ თვისებრივი კონტენტანალიზი და დისკურსის ანალიზი. სტრუქტურირებულ თვისებრივი კონტენტანალიზი ტექსტების სისტემური შედარებისთვის გამოვიყენეთ, ხოლო დისკურსის ანალიზი იმ ენობრივი,

სიმბოლური და ინტერპრეტაციული მექანიზმების გამოსავლენად, რომელთა საშუალებითაც მედიატექსტები პოლიტიკურად აქტიური ადამიანების იმიჯს ქმნიდნენ, ქმნიდნენ სხვადასხვაგვარ ჩარჩოებს და ავითარებდნენ „ჩვენ და ისინი“ ტიპის დაყოფას.

ანალიზის პირველ ეტაპზე გამოვიყენეთ შედარებითი კოდირების მატრიცა, სადაც თითოეული ტექსტი შევაფასეთ შემდეგი კატეგორიების მიხედვით:

- მთავარი ჩარჩო ან ცენტრალური მტკიცება;
- ის აქტორები, რომლებსაც ტექსტი ანიჭებს ლეგიტიმაციას;
- ის აქტორები, რომლებსაც ტექსტი აკრიტიკებს ან ასუსტებს;
- ემოციურობის ხარისხი;
- ფაქტობრივი და შეფასებითი კომპონენტების თანაფარდობა;
- „ჩვენ/ისინი“ ტიპის დაყოფის არსებობა;
- პოლარიზაციის ენობრივი ინდიკატორები.

აღნიშნული კატეგორიები შევარჩიეთ იმისთვის, რომ შესაძლებელი ყოფილიყო სხვადასხვა პლატფორმის ტექსტების შედარება თემატური აქცენტების, აქტორთა წარმოჩენის, ემოციური ტონისა და ფაქტისა და შეფასების ურთიერთმიმართების მიხედვით.

ანალიზის მეორე ეტაპზე განვახორციელეთ დისკურსულ-ანალიტიკური წაკითხვა. ამ ეტაპზე ყურადღება გავამახვილეთ არა მხოლოდ იმაზე, თუ რა თემები დომინირებს თითოეულ მედიატექსტში, არამედ იმაზე, როგორ არის ეს თემები მართული; რომელი პოლიტიკური აქტორი იყვნენ წარმოჩენილი სანდო წყაროები; ვის ენიჭებოდათ მორალური ან პოლიტიკური უპირატესობები; როგორ ხდებოდა კანონპროექტის სახელდება; რა ტიპის ემოციური ლექსიკა გამოიყენებოდა; და როგორ ხდებოდა საზღვრის წაშლა ინფორმაციასა და ინტერპრეტაციას შორის. განსაკუთრებული ყურადღება დავუთმეთ დღის წესრიგის შერჩევას, სელექციურ ხილვადობას, ინტერპრეტაციულ და მანიპულაციურ პრაქტიკებსა და ნარატივის შექმნის მცდელობებს.

ამ ორი მეთოდის - სტრუქტურირებული კოდირების მატრიცისა და დისკურსის ანალიზის კომბინაციამ შესაძლებლობა მოგვცა, კვლევას შეენარჩუნებინა, როგორც შედარებითი სიზუსტე, ისე ტექსტების სიღრმისეული შესწავლის საშუალება.

კვლევის სანდოობა უზრუნველყავით რამდენიმე პრინციპით: პირველ რიგში, ყველა ტექსტი დავამუშავეთ ერთიანი კოდირების მატრიცით, რამაც შეამცირა თვითნებური ინტერპრეტაციის რისკი და მოგვცა ანალიზის შიდა თანმიმდევრულობის შესაძლებლობა. [12]მეორე, ფაზობრივმა შერჩევამ უზრუნველყო პლატფორმებს შორის შედარებადობა, რადგან თითოეული მედიასაშუალების ტექსტები გავაანალიზეთ ერთსა და იმავე პოლიტიკურ მომენტებთან

[12] იხ: ტექსტების ანალიზი, ცხრილი 1, 2, 3, 4

მიმართებაში. მესამე, ფორმალური კოდირების კატეგორიები არ გამოგვიყენებია მექანიკურად-თითოეული განმარტებულია კონკრეტული პოლიტიკური და დისკურსული კონტექსტის გათვალისწინებით. ყველა ზემოთჩამოვლილი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოლიტიკური კრიზისების მედიაგაშუქების ანალიზის დროს.

აღსანიშნავია ისიც, რომ კვლევას აქვს რამდენიმე შეზღუდვაც. კვლევის კორპუსი შევარჩიეთ მიზნობრივად და შესაბამისად, ის არ წარმოადგენს მთელი ქართული მედიასისტემის რაოდენობრივ სურათს. კვლევა არ არის ფოკუსირებული რაოდენობრივ მაჩვენებლებზე. თითოეული ფაზიდან ორი ტექსტის შერჩევით მიზნად დავისახეთ ანალიტიკურად მნიშვნელოვანი მასალის შედარებითი შესწავლა და არა მთელი საინფორმაციო ნაკადის ამომწურავი აღწერა.

მიუხედავად ზემოთაღნიშნული შეზღუდვებისა, შერჩეული მეთოდოლოგიური ჩარჩო შეესაბამება კვლევის მიზანს. იგი გვაძლევს შესაძლებლობას, შედარებით მცირე, მაგრამ ანალიტიკურად ფოკუსირებულ და მიზნობრიობაზე მორგებულ კორპუსზე დაყრდნობით გამოვლინდეს, როგორ ყალიბდება პოლარიზებული პოლიტიკური კომუნიკაცია ქართულ ონლაინმედიაში; როგორ იყენებენ მედიაპლატფორმები განსხვავებულ ჩარჩოებს, ემოციურ ტონსა და აქტორთა ლეგიტიმაციის სტრატეგიებს; და როგორ უკავშირდება ეს პროცესი დემოკრატიული მოწყვლადობის გაძლიერებას პოლიტიკური კრიზისის პირობებში.

მიღებული შედეგები

კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ 2024 წლის აპრილ-მაისში „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტის გარშემო განვითარებული პოლიტიკური კრიზისი ქართულ ონლაინმედიაში ერთიან საინფორმაციო პროცესად არ წარმოჩენილა. პირიქით, გაანალიზებულ მედიატექსტებში ერთი და იგივე პოლიტიკური მოვლენა განსხვავებული სახელდებით, განსხვავებული ჩარჩოებით, ემოციური ტონითა და ლეგიტიმაციის განსხვავებული წესით იყო მოწოდებული. ამ თვალსაზრისით, მედია პოლარიზაცია არ გამოვლენილა, მხოლოდ როგორც სხვადასხვა პოლიტიკური პოზიციების არსებობა, არამედ იგი წარმოჩნდა როგორც აქტიური კომუნიკაციური პროცესი, რომელმაც პოლიტიკურ რეალობას მედიაპლატფორმების მიხედვით განსხვავებული მნიშვნელობები მიანიჭა.

თვალსაჩინოებისთვის: კვლევითმა კორპუსმა აჩვენა, რომ ოთხივე მედიაპლატფორმა - *ImediNews.ge, TVPirveli.ge, 1TV.ge* და *Netgazeti.ge* - ერთსა და იმავე პროცესებს აშუქებდა, თუმცა განსხვავებული სარედაქციო და დისკურსულ ლოგიკას იყენებდა. განსხვავებები გამოიკვეთა არამხოლოდ შეფასებებში, არამედ თემების შერჩევაში, სათაურების აგებაში, პოლიტიკური აქტორების წარმოჩენაში, ემოციური ლექსიკის გამოყენებაში და იმაში, თუ როგორ იქმნებოდა ნარატივები - ვინ უნდა ყოფილიყო „ლეგიტიმური“ და „არალეგიტიმური“ პოლიტიკური ფიგურა.

მედია პოლარიზაციის დომინანტური ინდიკატორები

ტექსტების გაანალიზების შემდეგ, პოლარიზაციის პირველი და ყველაზე თვალსაჩინო ნიშანი რაც გამოიკვეთა, იყო კანონპროექტის სახელწოდებებს შორის განსხვავება. მედიასაშუალებების ნაწილი მას წარმოაჩენდა როგორც „გამჭვირვალობის კანონს“, ხოლო კრიტიკული პლატფორმები

- როგორც „რუსულ კანონს“. ეს განსხვავება არ იყო მხოლოდ ტერმინებს შორის სხვაობა. ეს სახელდებები წინასწარ განუსაზღვრავდა მკითხველს თუ მნახველს, რა მნიშვნელობით უნდა აღქმულიყო პოლიტიკური პროცესი: გამჭვირვალობისა და სუვერენიტეტის ნარატივის ფარგლებში, თუ დემოკრატიული უკუსვლისა და ევროპული კურსის საფრთხის ჭრილში.

ImediNews.ge-ზე კანონპროექტი უმეტესად წარმოდგენილი იყო როგორც გამჭვირვალობის, სუვერენიტეტისა და ეროვნული ინტერესების დაცვის ინსტრუმენტი. ამ ჩარჩოში ხელისუფლება და კანონპროექტის მხარდამჭერები ლეგიტიმურ პოზიციაში იყვნენ წარმოჩენილები, ხოლო ოპოზიცია და არასამთავრობო სექტორი ხშირად წარმოჩენილი იყო როგორც რადიკალური, დესტაბილიზაციისკენ მიდრეკილი ან გარედან მართული აქტორები. ამ მედიაპლატფორმის ტექსტებში განსაკუთრებით ძლიერად აღიქმებოდა საფრთხის, გარე ჩარევის, ეკლესიის დაცვისა და სახელმწიფოებრივი სტაბილურობის რიტორიკა.

TVPirveli.ge-ზე საპირისპირო სურათი იყო გამოიკვეთილი. კანონპროექტი თითქმის მთლიანად „რუსული კანონის“ ჩარჩოში იყო წარმოჩენილი. ტექსტებში ის დაკავშირებული იყო დემოკრატიულ უკუსვლასთან, რეპრესიასთან, ევროპული მომავლის საფრთხესთან და ხელისუფლების ავტორიტარულ ტენდენციებთან. საპროტესტო მოძრაობა კი წარმოჩენილი იყო როგორც პროევროპული სამოქალაქო წინააღმდეგობა. ამ პლატფორმაზე ემოციური ტონი მეტად მკვეთრი იყო და ხშირად მობილიზაციურ ფუნქციას ასრულებდა: მკითხველს მოვლენებს სთავაზობდა არა მხოლოდ ინფორმაციის დონეზე, არამედ პოლიტიკური არჩევანის რეჟიმში წარმოაჩენდა მას.

1TV.ge-ს შემთხვევაში ტექსტები შედარებით ინსტიტუციურ ტონს ინარჩუნებდა. პლატფორმა ხშირად პარალელურად წარმგვიჩენდა, როგორც ოფიციალურ განცხადებებს, ისე საერთაშორისო გამოხმაურებებს. თუმცა ნეიტრალიტეტის ფორმალური მცდელობის მიუხედავად, ტექსტებში მაინც ჩანდა დაძაბულობა ორ ნარატივს შორის: ერთი მხრივ იყო სუვერენული გადაწყვეტილების უფლება და სახელმწიფოს ინსტიტუციური პოზიცია - მეორე მხრივ კი საერთაშორისო კრიტიკა და ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხი. ამდენად, *1TV.ge*-ს როლი შეიძლება შეფასდეს როგორც ინსტიტუციური მოქმედება - სხვადასხვა პოზიციის წარმოდგენა, თუმცა იმ სახით, რომ არ იყო წარმოდგენილი სიღრმისეული ანალიტიკური ანალიზი.

Netgazeti.ge-ზე კანონპროექტი ძირითადად სამართლებრივ-კრიტიკულ და პროევროპულ ჩარჩოში იყო წარმოდგენილი. ტექსტებში ყურადღება გამახვილებული იყო ვენეციის კომისიის დასკვნაზე, საერთაშორისო სტანდარტებზე, ადამიანის უფლებებზე, მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების შესაძლო შეზღუდვაზე. ამ პლატფორმის დისკურსული ლოგიკა უფრო მეტად უკავშირდებოდა watchdog / კრიტიკულ-განმარტებითი ჟურნალისტიკის მოდელს, სადაც პოლიტიკური მოვლენა განიხილებოდა არამხოლოდ მიმდინარე დაპირისპირების, არამედ დემოკრატიული ინსტიტუტების, სამართლებრივი სტანდარტებისა და ევროპული ინტეგრაციის პერსპექტივის კონტექსტში.

შედეგად, ოთხივე პლატფორმაზე კანონპროექტი ერთსა და იმავე პოლიტიკურ პროცესს არ ქმნიდა. მკითხველი იღებდა არა მხოლოდ განსხვავებულ შეფასებებს, არამედ განსხვავებულ ინტერპრეტაციულ სამყაროს: ერთ სივრცეში კანონი იყო სუვერენიტეტისა და გამჭვირვალობის

დაცვის მექანიზმი, მეორეში - დემოკრატიული უკუსვლისა და რუსეთისკენ გადახრის ნიშანი, მესამეში - ინსტიტუციური დაპირისპირების საგანი, ხოლო მეოთხეში - სამართლებრივი და ევროპული სტანდარტების პრობლემური შემთხვევა.

დღის წესრიგის შერჩევა და სელექციური ხილვადობა

კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიგნებაა ის, რომ მედიაპლატფორმები განსხვავებულად არჩევდნენ, რა უნდა გამხდარიყო მთავარი საკითხი. ეს არჩევანი წინასწარ განსაზღვრავდა არა მხოლოდ თემატურ აქცენტს, არამედ მკითხველის მიერ პოლიტიკური პროცესის აღქმის მიმართულებასაც.

მაგალითად: ImediNews.ge-ზე დღის წესრიგი კონცენტრირებული იყო გარე გავლენაზე, არასამთავრობო ორგანიზაციების როლზე, ეკლესიასთან დაკავშირებულ საფრთხეებზე, ოპოზიციის რადიკალიზმსა და სახელმწიფოებრივი სტაბილურობის აუცილებლობაზე. კანონპროექტის სამართლებრივი შინაარსი უმეტესწილად უკანა პლანზე იყო გადატანილი, ხოლო წამყვან საკითხად წარმოჩენილი იყო ის, თუ ვინ იდგა პროტესტის უკან და რა საფრთხეს ქმნიდა ეს სახელმწიფოსთვის.

TVPirveli.ge-ზე დღის წესრიგი აგებული იყო პროტესტის ლეგიტიმურობაზე, ხელისუფლების ძალადობაზე, საერთაშორისო პარტნიორების კრიტიკასა და ევროპული ინტეგრაციის საფრთხეებზე. ამ პლატფორმაზე მთავარი კითხვა ის კი არ იყო - რა ეწერა კანონპროექტში, არამედ ის, თუ რას ნიშნავდა მისი მიღება ქვეყნის პოლიტიკური და გეოპოლიტიკური მომავლისთვის.

რაც შეეხება 1TV.ge-ს: დღის წესრიგი ხშირად თამაშობდა ოფიციალურ განცხადებებსა და საერთაშორისო გამოხმაურებებს შორის. პლატფორმა ცდილობდა შეენარჩუნებინა ინსტიტუციური ბალანსის ფორმა, თუმცა სამოქალაქო პროტესტის დეტალები შედარებით ნაკლებად იყო გამოყოფილი. უფრო დიდი დოზით იყო წარმოჩენილი პოლიტიკური და დიპლომატიური განცხადებები.

Netgazeti.ge-ზე დღის წესრიგი ეთმობოდა ძირითადად სამართლებრივ შედარებებს, საერთაშორისო შეფასებებს, ვენეციის კომისიის დასკვნას, ადამიანის უფლებების სტანდარტებსა და საპოლიციო ძალის გამოყენებას. ამ მედიასაშუალების შემთხვევაში, პოლიტიკური პროცესი წარმოდგენილი იყო უფრო მეტად ფართო სამართლებრივ და დემოკრატიულ ჩარჩოში.

აღნიშნული განსხვავებები აჩვენებს, რომ დღის წესრიგის შერჩევა პოლარიზებული კომუნიკაციის ერთ-ერთი მთავარი მექანიზმია. ეს არის მოცემულობა, როდესაც მედიაპლატფორმა მკითხველს მხოლოდ ინფორმაციას კი არ აწვდის, არამედ წინასწარ უჩვენებს, რა უნდა ჩაითვალოს მთავარ პრობლემად: გარე ჩარევა, ხელისუფლების რეპრესიულობა, ინსტიტუციური კონფლიქტი თუ დემოკრატიული სტანდარტების დარღვევა.

ჩარჩოები და ინტერპრეტაციული მიკერძოება

კვლევამ განსაკუთრებით მკაფიოდ გამოკვეთა ჩარჩოების განსხვავებული გამოყენება. ერთსა და იმავე მოვლენას მედიები სხვადასხვა ინტერპრეტაციულ სქემაში აქცევდნენ. ეს ეხებოდა როგორც

კანონპროექტს, ისე საპროტესტო აქციებს, საერთაშორისო გამოხმაურებებსა და პრეზიდენტის ვეტოს დაძლევას.

პირველი ასეთი მაგალითი აღმოჩნდა კანონპროეტის სახელწოდებასთან დაკავშირებული ჩარჩო: „გამჭვირვალობის კანონი“ და „რუსული კანონი“ ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულ პოლიტიკურ მნიშვნელობაზე მიანიშნებს. „გამჭვირვალობის კანონი“ - კანონს წარმოაჩენს როგორც ლეგიტიმურ, აუცილებელ და სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვან ინსტრუმენტს. „რუსული კანონი“ კი მას წარმოაჩენს, როგორც ავტორიტარულ მოდელს, გეოპოლიტიკურ საფრთხესა და ევროპული ინტეგრაციის შეფერხებას.

საპროტესტო აქციების წარმოჩენაშიც მსგავსი განსხვავება გამოვლინდა. მაგალიტად *ImediNews.ge*-ზე პროტესტი ხშირად იყო წარმოჩენული, როგორც ძალადობრივი, გარედან წახალისებული ან რადიკალური აქტივობა. *TVPirveli.ge*-სა *და Netgazeti.ge*-ზე კი იგივე პროტესტი წარმოდგენილი იყო როგორც სამოქალაქო წინააღმდეგობა, პროევროპული მობილიზაცია და დემოკრატიული არჩევანის დაცვა.

ინტერპრეტაციული მიკერძოება გამოიხატა არა მხოლოდ შეფასებით ენაში, არამედ წყაროების შერჩევაშიც. თუ *ImediNews.ge*-ზე მეტი სივრცე ეთმობოდა ხელისუფლების წარმომადგენლებსა და მის მხარდამჭერ აქტორებს, კრიტიკულ პლატფორმებზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდათ საერთაშორისო პარტნიორების, ოპოზიციის, სამოქალაქო საზოგადოების და სამართლებრივი ექსპერტიზის პოზიციებს. შესაბამისად, წყაროების განაწილებაც იქცა არა მხოლოდ ინფორმაციის მიწოდების საშუალებად და ტექნიკად, არამედ პოლიტიკური მნიშვნელობების ორგანიზების საშუალებად.

ემოციური მობილიზაცია და შეფასებითი ენა

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ პოლარიზებულ მედიაგაშუქებაში ემოციური ტონი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ემოციურობაში არ იგულისხმება სტილისტური ელემენტები; მან კრიზისულ სიტუაციაში განსაზღვრა, როგორ უნდა აღექვა აუდიტორიას კონკრეტული მოვლენა - როგორც საფრთხე და უსამართლობა თუ, როგორც სახელმწიფოებრივი აუცილებლობა, ისტორიული არჩევანი ან მორალური ბრძოლა.

ImediNews.ge-ზე ემოციური ტონი უმეტესად უკავშრდებოდა საფრთხის, ღალატის, გარე ჩარევის, რადიკალიზმისა და ეროვნული დაცვის ლექსიკას. აღნიშნული ენა კი აძლიერებდა სახელმწიფოს დაცვისა და სუვერენიტეტის შენარჩუნების ჩარჩოს.

TVPirveli.ge-ზე ემოციური ტალღა სხვა მიმართულებით იყო მიშვებული - აქ დომინირებდა რეპრესიის, ძალადობის, ევროპული არჩევანის, ისტორიული გზაგასაყარისა და სამოქალაქო წინააღმდეგობის ლექსიკა. ასეთი ფორმულირებები აუდიტორიას მიმდინარე პროცესებს წარმოუცენდა არა, როგორც ჩვეულებრივ პოლიტიკური დავა, არამედ როგორც ქვეყნის დემოკრატიული და გეოპოლიტიკური მომავლისთვის ბრძოლა.

Netgazeti.ge-ზე ემოციური დატვირთვა შედარებით მეტად უკავშირდებოდა სამართლებრივ და საერთაშორისო შეფასებებს, თუმცა ემოციური ტონი მძლავრობდა მაშინ, როდესაც ადგილი ჰქონდა აქციების დაშლის, ვენეციის კომისიის დასკვნისა და ვეტოს დაძლევას.

1TV.ge-ზე ენა უფრო ზომიერი იყო, მაგრამ ცალკეულ ტექსტებში მაინც ჩნდებოდა ისეთი ფორმულირებები, რომლებიც პოლიტიკურ პროცესს საფრთხისა და ზეწოლის ჩარჩოში აქცევდა.

შესაბამისად, ემოციური მობილიზაცია სხვადასხვა პლატფორმაზე განსხვავებულ პოლიტიკურ ფუნქციას ასრულებდა. ერთ შემთხვევაში იგი აძლიერებდა სახელმწიფოს დაცვისა და გარე ჩარევისგან თავის დაცვის იდეას; მეორე შემთხვევაში - სამოქალაქო წინააღმდეგობისა და ევროპული არჩევანის დაცვის მოტივს; მესამე შემთხვევაში - ინსტიტუციური დაპირისპირების სურათს; მეოთხე შემთხვევაში კი, სამართლებრივი და დემოკრატიული სტანდარტების დარღვევის ხაზგასმას.

ნარატივის ფრაგმენტაცია და პოლიტიკური პროცესის გამარტივება

კვლევის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შედეგია ნარატივის ფრაგმენტაცია. გაანალიზებულ ტექსტებში რთული პოლიტიკური და სამართლებრივი პროცესი ხშირად იკუმშებოდა მარტივ ოპოზიციურ სქემებად. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო მაშინ, როდესაც სხვადასხვა მედიაპლატფორმა ერთსა და იმავე მოვლენას განიხილავდა არა როგორც ხანგრძლივი პოლიტიკური პროცესის ნაწილს, არამედ როგორც სიმბოლურ ეპიზოდს, რომელიც საკუთარი ცენტრალური თეზისის დასადასტურებლად გამოიყენებოდა.

ImediNews.ge-ზე კონფლიქტი ხშირად ფორმულირდებოდა როგორც „სახელმწიფო რადიკალების წინააღმდეგ“ ან „სუვერენიტეტი გარე ჩარევის წინააღმდეგ“. *TVPirveli.ge*-სა და *Netgazeti.ge*-ზე უფრო ხშირად ჩნდებოდა სქემა - „ხალხი რეჟიმის წინააღმდეგ“ ან „ევროპული მომავალი რუსული უკუსვლის წინააღმდეგ“. *1TV.ge*-ზე შედარებით რბილი, მაგრამ მაინც გამარტივებული მოდელი იკვეთებოდა: „სუვერენული გადაწყვეტილება საერთაშორისო კრიტიკის წინააღმდეგ“.

ამგვარი გამარტივება ამცირებდა შუალედური ან კომპლექსური პოზიციების სივრცეს. კანონპროექტთან დაკავშირებული სამართლებრივი, ინსტიტუციური, პოლიტიკური და საერთაშორისო ასპექტები ხშირად ერთ დომინანტურ ჩარჩოში ექცეოდა. შედეგად, აუდიტორიას ნაკლებად ეძლეოდა შესაძლებლობა, პროცესი მრავალგანზომილებიანად დაენახა. უფრო ხშირად მას სთავაზობდნენ გამზადებულ ინტერპრეტაციას, სადაც აქტორები წინასწარ იყვნენ განაწილებულნი „სწორ“ და „არასწორ“, „ლეგიტიმურ“ და „არალეგიტიმურ“, „სახელმწიფოებრივ“ და „ანტისახელმწიფოებრივ“ პოზიციებად.

ინფორმაციისა და ინტერპრეტაციის საზღვრის ბუნდოვანება

გაანალიზებულ კორპუსში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიგნებაა ინფორმაციისა და ინტერპრეტაციის საზღვრის ბუნდოვანება. მედიატექსტები ხშირად ერთდროულად ასრულებდა ორ ფუნქციას: აღწერდა მოვლენას და წინასწარ განსაზღვრავდა, როგორ უნდა გაეგო მკითხველს ეს მოვლენა.

ეს განსაკუთრებით ჩანდა სათაურებსა და პირველ აბზაცებში. ისეთი ფორმულირებები, როგორიცაა „რუსული კანონი“, „გამჭვირვალობის კანონი“, „სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა“, „სპეცრაზმის სისასტიკე“, „ევროკავშირის თემით შანტაჟი“ ან „რეპრესიული კანონმდებლობა“, ფაქტობრივ ინფორმაციასთან ერთად მკითხველს სთავაზობდა მკაფიო ინტერპრეტაციულ პოზიციას. ასეთ შემთხვევაში მკითხველი ჯერ კიდევ ტექსტის ძირითად ინფორმაციამდე ეცნობა იმ ჩარჩოს, რომლის მიხედვითაც მოვლენა უნდა შეფასდეს.

ეს ტენდენცია განსაკუთრებით გამოიკვეთა *ImediNews.ge*-სა და *TVPirveli.ge-ზე,* თუმცა საპირისპირო პოლიტიკური მიმართულება ჰქონდა. *Netgazeti.ge* უფრო განმარტებით სტილს იყენებდა, მაგრამ ის, რომ ინტერპრეტაციას იყენებდა, მაინც ჩანდა კანონპროექტის სახელდებაში და სამართლებრივ შეფასებებში. *1TV.ge* ნაკლებად იყენებდა პირდაპირ ლექსიკას, მაგრამ წყაროების განაწილებისა და განცხადებების თანმიმდევრობის საშუალებით ტოვებდა კვალს.

აღსანიშნავია, რომ ინფორმაციისა და ინტერპრეტაციის ერთობლიობა მნიშვნელოვანია ფაქტორებია დემოკრატიული მოწყვლადობაზე საუბრისას. როდესაც მოვლენის აღწერას წინ უსწრებს მყარი შეფასებითი ჩარჩო, აუდიტორია ნაკლებად იღებს ნეიტრალურ საწყის ინფორმაციას და უფრო სწრაფად ერთვება უკვე ხელოვნურად შექმნილ პოლიტიკურ ნარატივში.

„ჩვენ/ისინი“ დაყოფა და აქტორთა ლეგიტიმაცია

გაანალიზებულ ტექსტებში მკაფიოდ გამოჩნდა „ჩვენ/ისინი“ ტიპის დაყოფის სხვადასხვა ფორმა. ეს დაყოფა ყველა პლატფორმაზე ერთნაირად არ მუშაობდა, მაგრამ თითქმის ყველგან ქმნიდა ბანაკურ აღქმას.

ImediNews.ge-ზე - „ჩვენ“ - ხშირად იყო დაკავშირებული სახელმწიფოსთან, სუვერენიტეტთან, ეროვნულ ინტერესებთან, ეკლესიასთან და სტაბილურობასთან. „ისინი“ კი - შეიძლება ყოფილიყვნენ რადიკალური ოპოზიცია, არასამთავრობო სექტორის ნაწილი, გარე ძალები ან დესტაბილიზაციისკენ მიმართული ჯგუფები.

TVPirveli.ge-ზე - „ჩვენ“ - უფრო მეტად ნიშნავდა პროევროპულ საზოგადოებას, მოქალაქეებს, პროტესტის მონაწილეებს და დემოკრატიული არჩევანის დამცველებს. „ისინი“ კი წარმოჩენილნი იყვნენ როგორც ხელისუფლება, „ქართული ოცნება“, რეპრესიული ინსტიტუციები ან ძალა, რომელიც ქვეყანას ევროპულ გზას აშორებს.

Netgazeti.ge-ზე დაყოფა უფრო სამართლებრივ-დემოკრატიული ენის ფარგლებში იყო ნაჩვენები. ერთი მხარე წარმოადგენდა ევროპულ სტანდარტებს, უფლებებსა და სამოქალაქო სივრცეს, მეორე კი - კანონპროექტის მხარდამჭერ პოლიტიკურ ძალას, რომელიც ამ სტანდარტებთან წინააღმდეგობაში მოდის. 1TV.ge-ზე ეს დაყოფა შედარებით რბილი იყო, მაგრამ მაინც ჩნდებოდა სუვერენული გადაწყვეტილებისა და საერთაშორისო კრიტიკის დაპირისპირებაში.

ასეთი დაყოფები დემოკრატიული მოწყვლადობის თვალსაზრისით განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ატარებს, რადგან ისინი ამცირებენ პოლიტიკურ ოპონენტთან არგუმენტირებული დიალოგის შესაძლებლობას. როდესაც პოლიტიკური აქტორები წარმოჩენილი არიან, არა როგორც კონკურენტული პოზიციის მატარებლები, არამედ როგორც საფრთხე, რეჟიმი,

რადიკალური ძალა ან გარე ინტერესების წარმომადგენლები - საჯარო დისკუსია გადადის მორალური გამორიცხვის რეჟიმში.

პოლარიზაციის გავლენა დემოკრატიულ მოწყვლადობაზე

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ მედია პოლარიზაცია საქართველოში არ უნდა განვიხილოთ მხოლოდ როგორც მედიასაშუალებებს შორის სარედაქციო განსხვავება. გაანალიზებული კორპუსი აჩვენებს, რომ პოლარიზაცია ქმნის ისეთ კომუნიკაციურ გარემოს, სადაც საერთო ფაქტობრივი სივრცე სუსტდება, ხოლო აუდიტორია პოლიტიკურ პროცესს სხვადასხვა მედიარეალობაში ხედავს.

ეს პროცესი დემოკრატიული მოწყვლადობისთვის მნიშვნელოვანია რამდენიმე მიზეზით. პირველ რიგში, როდესაც ერთი და იგივე მოვლენა მედიაში ურთიერთგამომრიცხავი ჩარჩოებით არის წარმოდგენილი, რთულდება საერთო ფაქტებზე დაფუძნებული დისკუსია. მეორე, ემოციურად დატვირთული და შეფასებითი ენა ზრდის ბანაკურ თვითიდენტიფიკაციას. მესამე, მოწინააღმდეგის სისტემური დელეგიტიმაცია ამცირებს კომპრომისის, არგუმენტირებული კამათისა და რაციონალური განხილვის სივრცეს. მეოთხე, ინფორმაციისა და ინტერპრეტაციის შერწყმა ამცირებს მკითხველის დამოუკიდებელი შეფასების შესაძლებლობას.

შედეგად, პოლარიზებული მედიაგარემო ხელს უწყობს პოლიტიკური კრიზისის გაღრმავებას არა პირდაპირი მიზეზობრივი გზით, არამედ იმ კომუნიკაციური პირობების შექმნით, სადაც უნდობლობა, დაპირისპირება და სიმბოლური გამიჯვნა უფრო ადვილად ძლიერდება. ამ თვალსაზრისით, მედია პოლარიზაცია საქართველოში დემოკრატიული მოწყვლადობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომუნიკაციურ პირობად უნდა განვიხილოთ.

ძირითადი დასკვნები

ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა, რომ 2024 წლის 3 აპრილიდან 28 მაისამდე პერიოდში, „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტთან დაკავშირებული პოლიტიკური კრიზისი ქართულ ონლაინმედიაში ერთიანი საინფორმაციო პროცესის სახით არ ყოფილა წარმოჩენილი. გაანალიზებულმა მასალებმა წარმოაჩინა, რომ სხვადასხვა მედიაპლატფორმებმა ერთი და იგივე მოვლენა განსხვავებული სახელწოდებებით, ჩარჩოებით, ემოციური ტონითა და ლეგიტიმაციის ლოგიკით გააშუქა. შესაბამისად, მედია პოლარიზაცია ამ კვლევაში გამოვლინდა არა მხოლოდ როგორც განსხვავებული პოლიტიკური პოზიციების თანაარსებობა, არამედ როგორც აქტიური კომუნიკაციური პროცესი, რომელიც პოლიტიკურ რეალობას პლატფორმების მიხედვით განსხვავებულ მნიშვნელობებს ანიჭებს.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, ისიც რომ ImediNews.ge-ზე კანონპროექტი ძირითადად ნაჩვენები იყოს საერთაშორისო გამჭვირვალობის და სუვერენიტეტისა დაცვის ჩარჩოში; TVPirveli.ge-ზე იგი თითქმის მთლიანად „რუსული კანონის“, დემოკრატიული უკუსვლისა და ევროპული მომავლის საფრთხის კონტექსტში იყო წარმოჩენილი; 1TV.ge-ზე გაშუქებამ შედარებით ინსტიტუციური ტონი შეინარჩუნა, თუმცა სუვერენულ გადაწყვეტილებასა და საერთაშორისო კრიტიკას შორის დაძაბულობა მაინც მკაფიოდ იყო წარმოჩენილი; Netgazeti.ge-ზე კი დომინირებდა სამართლებრივ-კრიტიკული და პროევროპული ჩარჩო, სადაც აქცენტი გაკეთებული იყო

დემოკრატიულ სტანდარტებზე, სამოქალაქო საზოგადოებასა და მედიის თავისუფლებაზე. ამგვარად, ოთხივე პლატფორმამ გააკეთა არა მხოლოდ განსხვავებული შეფასება, არამედ ერთი და იმავე პოლიტიკური პროცესის განსხვავებული ინტერპრეტაციული სურათი წარმოგვიჩინა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ პოლარიზაცია მედიატექსტებში გამოვლინდა რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული მექანიზმით. კერძოდ, დღის წესრიგის სელექციური შერჩევით, მოვლენათა განსხვავებული სახელდებით, აქტორების ლეგიტიმაცია/დელეგიტიმაციით, ემოციური მობილიზაციით, ნარატივის გამარტივებითა და ინფორმაციისა და ინტერპრეტაციის საზღვრის ბუნდოვანებით. სწორედ ამ მექანიზმების ერთობლიობამ შექმნა პოლარიზებული კომუნიკაციის ეფექტი. კვლევის მიხედვით, მანიპულაციური პრაქტიკა ყოველთვის პირდაპირ სიცრუეს არ გულისხმობს; ხშირად ის ვლინდება შერჩევით აქცენტებში, შეფასებითი ლექსიკის გაძლიერებაში და იმაში, რომ მკითხველს მოვლენის ინტერპრეტაციული ჩარჩო ფაქტობრივ ინფორმაციამდე მიეწოდება .

ნაშრომის ერთ-ერთი მთავარი დასკვნაა, რომ მედია პოლარიზაცია საქართველოში არ უნდა განვიხილოთ მხოლოდ როგორც მედიასაშუალებებს შორის სარედაქციო განსხვავება. პოლიტიკური კრიზისის პირობებში იგი გვევლინება დემოკრატიული მოწყვლადობის მნიშვნელოვან კომუნიკაციურ პირობად. როდესაც საერთო ფაქტობრივი სივრცე შესუსტებულია, ხოლო აუდიტორია ერთსა და იმავე მოვლენას სხვადასხვა, ხშირად ურთიერთგამომრიცხავი ჩარჩოდან ეცნობა, რთული ხდება რაციონალური მსჯელობა, არგუმენტირებული კამათი და პოლიტიკურ ოპონენტთან დიალოგი. ამგვარი გარემო ზრდის უნდობლობას, აძლიერებს ბანაკურ თვითიდენტიფიკაციას და ხელს უწყობს პოლიტიკური პროცესის მორალურ გამიჯვნას „ჩვენ“ და „ისინი“ ტიპის კატეგორიებად.

ამ კვლევის მნიშვნელობა ისაა, რომ იგი მედია პოლარიზაცია განხილულია არა იზოლირებულად, არამედ ციფრული კომუნიკაციის, პოლიტიკური კრიზისისა და დემოკრატიული მოწყვლადობის ჯაჭვში. საქართველოს შემთხვევა განსაკუთრებით საყურადღებოა მცირე სახელმწიფოს კონტექსტში, სადაც მედიაბაზრის შეზღუდულობა, პოლიტიკური დაძაბულობა, გარე გავლენების მიმართ მგრძნობელობა და ევროპული ინტეგრაციის საკითხის მაღალი სიმბოლური დატვირთვა მედიაპოლარიზაციის ეფექტს კიდევ უფრო აძლიერებს. ასეთ გარემოში მედია არა მხოლოდ ასახავს პოლიტიკურ დაპირისპირებას, არამედ მონაწილეობს მის კვლავწარმოებაში - სახელდების, ჩარჩოების, წყაროების, ემოციური ტონისა და აქტორთა ლეგიტიმაციის საშუალებით.

საბოლოოდ, ნაშრომი ასკვნის, რომ მედია პოლარიზაცია საქართველოში არა მხოლოდ მედიის შიდა პროფესიული გამოწვევაა, არამედ დემოკრატიული მდგრადობისთვის არსებითი პრობლემა. პოლიტიკური კრიზისების დროს პოლარიზებული ციფრული კომუნიკაცია ამცირებს საერთო საინფორმაციო სივრცეს, აძლიერებს ბანაკურ აღქმებს, ზრდის საზოგადოებრივ დაპირისპირებას და ართულებს ფაქტებზე დაფუძნებულ რაციონალურ განხილვას. ამდენად, დემოკრატიული მდგრადობის გაძლიერება შეუძლებელია მედიაგარემოს პასუხისმგებლიანი, კონტექსტზე ორიენტირებული და პროფესიულად გამჭვირვალე კომუნიკაციის გარეშე.

რეკომენდაციები და სამომავლო პერსპექტივები

პრაქტიკული თვალსაზრისით, კვლევა რამდენიმე საჭიროებაზე მიგვითითებს. პირველ რიგში, მნიშვნელოვანია მედიამ მეტი ყურადღება დაუთმოს კონტექსტუალურ ახსნას და მკაფიოდ განასხვავოს ინფორმაცია ინტერპრეტაცია ერთი-მეორეგან. მეორე, აუცილებელია წყაროთა მეტად დაბალანსებული შერჩევა, განსაკუთრებით იმ საკითხებზე, რომლებიც მაღალი საზოგადოებრივი დაძაბულობისა და პოლიტიკური კრიზისის საგანია. მესამე, მედიატექსტებში სასურველია შემცირდეს ზედმეტად ემოციური და დელეგიტიმაციისკენ მიმართული ენა, რადგან ასეთი რიტორიკა არ ტოვებს სივრცეს დიალოგისთვის და ხელს უწყობს საზოგადოების დაყოფას ბანაკებად. მეოთხე, მნიშვნელოვანია პროფესიულ თვითრეგულაციის მექანიზმებმა მეტი ყურადღება დაუთმონ არა მხოლოდ ფაქტობრივ სიზუსტეს, არამედ სათაურების, სახელდებების, წყაროთა განაწილებისა და შეფასებითი ჩარჩოების გავლენას საზოგადოებრივ აღქმაზე.

სამომავლო კვლევებისთვის რამდენიმე მიმართულებაა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი. პირველ რიგში, საჭიროა ანალიზის გაფართოება უფრო ხანგრძლივ პერიოდზე, რათა გამოიკვეთოს, არის თუ არა მსგავსი პოლარიზებული ჩარჩოები მხოლოდ კონკრეტული პოლიტიკური კრიზისისთვის დამახასიათებელი თუ უფრო ფართო და სტრუქტურული ტენდენციის ნაწილია. მეორე, მიზანშეწონილია კვლევის გაფართოება სხვა მცირე სახელმწიფოებთან შედარებით, რაც საქართველოს შემთხვევას უფრო ფართო საერთაშორისო კონტექსტში მოაქცევს. მესამე, საჭიროა აუდიტორიის კვლევის ინტეგრირება, რათა დადგინდეს, როგორ აღიქვამენ მოქალაქეები განსხვავებულ მედიაჩარჩოებს და რა გავლენას ახდენს ეს ნდობაზე, პოლიტიკურ თვითიდენტიფიკაციასა და ინფორმაციის შერჩევით მოხმარებაზე. მეოთხე, დამატებით შესასწავლია ალგორითმული ხილვადობისა და სოციალური მედიის გავრცელების როლი, რადგან ციფრულ გარემოში მედიაპოლარიზაციის ეფექტი მხოლოდ სარედაქციო არჩევანით არ განისაზღვრება.

ბიბლიოგრაფია

ქართულენოვანი წყაროები:

1. გერსამია, მარიამ. 2021. „მედიაგარემო 2021 წლის არჩევნებამდე და მის შემდეგ: მედია პოლარიზაციის საფრთხეები და გამოწვევები საქართველოში“. 1: 6–14.

2. წულაძე, ლია, ფლორა ესებუა, ირინა კახიძე, ანა კვინტრაძე, ირინა ოსეფაშვილი და მარიამ ამაშუკელი. 2016. *ევროპეიზაციის შესრულება: პოლიტიკური და პოპულარული დისკურსები ევროპეიზაციის შესახებ საქართველოში*. თბილისი: ნეკერი.

3. წულაძე, ლია, ფლორა ესებუა და ირინა ოსეფაშვილი. 2021. *საქართველოს ევროპეიზაციის დისკურსები ვიზალიბერალიზაციის შემდეგ*. თბილისი: ნეკერი.

უცხოური წყაროები:

1. Gegeshidze, Archil, and Thomas de Waal. 2021. *Divided Georgia: A Hostage to Polarization*. Washington, DC: Carnegie Endowment for International Peace.

2. Hallin, Daniel C., and Paolo Mancini. 2004. *Comparing Media Systems: Three Models of Media and Politics*. Cambridge: Cambridge University Press.

3. Kõuts-Klemm, Ragne, Tobias Eberwein, Zrinjka Peruško, Dina Vozab, Anda Rožukalne, Ilva Skulte, and Alnis Stakle. 2024. "*Media and Journalism Research in Small European Countries." Media and Communication* 12: 7205. https://doi.org/10.17645/mac.7205.

4. McCombs, Maxwell E., and Donald L. Shaw. 1972. *"The Agenda-Setting Function of Mass Media." Public Opinion Quarterly* 36, no. 2: 176–187. https://doi.org/10.1086/267990.

5. Puppis, Manuel. 2009. "*Media Regulation in Small States." International Communication Gazette* 71, no. 1–2: 7–17. https://doi.org/10.1177/1748048508097927.

6. Scheufele, Dietram A. 1999. "Framing as a Theory of Media Effects." *Journal of Communication* 49, no. 1: 103–122. https://doi.org/10.1111/j.1460-2466.1999.tb02784.x.

7. Tsuladze, Lia, and Nino Abzianidze. 2025. "*Polarisation through Deviation Discourse: Strategic Usage of Europeanisation by Political and Media Actors in Georgia." East European Politics* 41, no. 2: 294–315. https://doi.org/10.1080/21599165.2025.2491139.

8. United Nations Development Programme. 2021. *Georgian Media Stays Pluralistic and Polarized*. UNDP.

9. Van Dijk, Teun A. 2013. "Ideology and Discourse." In *The Oxford Handbook of Political Ideologies, edited by Michael Freeden and Marc Stears,* 175–196. Oxford: Oxford University Press.

10. Wodak, Ruth. 2011. "*Politics as Usual: Investigating Political Discourse in Action."* In *The Routledge Handbook of Discourse Analysis*, edited by James Paul Gee and Michael Handford, 525–539. London: Routledge.

11. Wodak, Ruth. 2021. *The Politics of Fear: The Shameless Normalization of Far-Right Discourse*. 2nd ed. Los Angeles: Sage. https://doi.org/10.4135/9781529739664.

1. ImediNews.ge - ტექსტების ანალიზი

კოდი	ფაბ	თარიღი	სათაური	მთავარი ნარატი / მთავარი აზრი	ვის აძლევენ უპირატესობას	ვის აკრიტიკებენ / ასუსტებენ	ემოციურობა	ფაქტი / შეფასება	„ჩვენ" / „ისინი"	მნიშვნელოვანი ციტატა
IM-01	P1	01.04.2024	ხასპოდაქენი: ეროვნულობა: „ქართული" აქვეკეთილ ინიან ნარიფილი ფსეუდოფილანტროპიული ფფეფილიან ბაფეფილიანი ეი ეუ ნ. „ლეგმ" პროიექტები, რომელია მიმანი საქართველოს ჩართულობა-ფფეფილი ეკლესიის ქიმარი ხანრეგადოების ნეობის ჭეშტეფა	ფეფილი ეკლესია / ანტიანალური ფილანტროპიული საფრთხე	ხელისუფლებას	NGO-ებს / ხანრეგადოებრივ ორგანიზაციებს / ეკლესიას / ბრალდებულებად საფრთხე	ნეიტრალური		კი	„ქართული" აქვეკეთილ ინიან ნარიფილი ფსეუდოფილანტროპიული ეფეფილიან ბაფეფილიანი ეი ეუ ნ. „ლეგმ" პროიექტებში...
IM-02	P1	01.04.2024	რეფერენდუმი ოლიმპიადა და „ქმეფი" ხელოვნის ჯიმარნიფილებენ „ეროვნული ალიანსი" ზუსტად ფეფილიანებიანეი „ეროვნული ალიანსი" ეროვნული ალიანსი ეროვნული ალიანსი ეროვნული ალიანსი

2. TVPirveli.ge - ტექსტების ანალიზი

კოდი	დან	თარიღი	სათაური	მოგვარი ნარჩენი / მოგვარი ამრი	ეის ამღევეს უბინაგებრობას	ეის აგრიგიკეს / ისუნგებს	ეშოფიერთ	ფაქტი / შეფასება	„ნეგენ" / „ანინი"	მნიშვნელოვანი ციტატა
TVP-01	P1	03.04.2024	„ქართველი ოფლისა" რეზერვი ერონის ამრეკლის	რეზერვი ერონი / ფეშნოლოგიისა და ეფრიკელი ერონის სიფრთხილე	კრეტელის ფაკულტეტი / ეფრიკელი ეროსელიანი ასპოფაკი / პოლიტიკური ბოსტიოლოგი	ხელოვნელიანის / „ქართველი ოფლისა"	ძალიი	ნეფრელი	კი	„ეროიოლე ეშოფიერთ ეროფიერთ ეროსელიანი, ეროსი ძალა ეფერი ეიდ ბრალნ ეშოფიერთ ეროფიერთ ეროსელიანი, ეროსი ძალა ბოლოალოგეროს ფაკულტეტ ეროფიერთ ეროსელიანი." „ქართველი ოფლისა" რეზერვ ერონის სალიანა ანიფიერთ."
TVP-02	P1	03.04.2024	ხანაბოლე ოფლიფლის: ეს ეკალაბნი სიქართველის ოფლიანი	რეზერვი ერონი / ფეშნოლოგიისა და ეფრიკელი ერონის სიფრთხილე	ოლიფლიკის / ეფრიკელი ანეფლნ	ხელოვნელიანის / „ქართველი ოფლისა"	ძალიი	ძალიიდიდი ბეფაანი	კი	„ეს ფაფალეფი ბიფალი ბიფალნ ეროფიერთ, ეროსი ძალა ეფერი ეიდ ბრალნ ეშოფიერთ ეროფიერთ ეროსელიანი, ეროსი ძალა ბოლოალოგეროს ფაკულტეტ ეროფიერთ ეროსელიანი."
TVP-03	P2	16.04.2024	ეროსელიანი ეროფიერთ ეროსელიანი ეროფიერთ ეროსელიანი	ეროსელიანი ეროფიერთ / ფეშნოლოგიისა და ეფრიკელი ეროსელიანი	ოლიფლიკის / ეფრიკელი ანეფლნ	ხელოვნელიანის / „ქართველი ოფლისა"	ძალიი	ძალიიდიდი ბეფაანი	კი	„ეროიოლე ეშოფიერთ ეროფიერთ ეროსელიანი, ეროსი ძალა ეფერი ეიდ ბრალნ ეშოფიერთ ეროფიერთ ეროსელიანი, ეროსი ძალა ბოლოალოგეროს ფაკულტეტ ეროფიერთ ეროსელიანი."
TVP-04	P2	17.04.2024	ეფრიკელიანი ეროფიერთ ეროსელიანი - „ოფლისა" ბაფალეფელეფა ბეფაანოა, ბრალეფლეს ეკანანელ	ეროსელიანი ეროფიერთ ეროსელიანი - „ოფლისა" ბაფალეფელეფა ბეფაანოა, ბრალეფლეს ეკანანელ	ხაფრალიფილი ბიფალეფა / ეფრიკელი ანეფლ / ეკანანი ხაკანეფი ბოლიეფალი ფალი	ოლიფლიკის / ეფრიკელი ანეფლ	სამეფალი	ნეფრელი	კი	„ეს ფაფალეფი ბიფალ ბიფალნ ეროფიერთ, ეროსი ძალა ეფერ ეიდ ბრალნ ეშოფიერთ ეროფიერთ ეროსელიანი."
TVP-05	P3	30.04.2024	ხანკრანმა აწეიფიანეს ნაფიფრონი ფიფნეფი	„ხაკანფიფეფი ბანაკეფიანმა, ეს ეკეი ეაბინეს ეეფონეი ეკანანეი ეკანან" ეონეეი ფიფ ფეფ ფეფეი	ეეფიანეი ბოსალეფი / ბალეფიანეი ხაკანანიანი ფაკანა / ხაკანიფეი ეკანეეფეეი ანეფიფეეე